ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 01

დაბა ქედა, 13 თებერვალი, 2019 წელი

სხდომა დაიწყო 11:00

სხდომა დამთავრდა 12:00

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარე;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
თეა შარაშიძე - საბჭოს წევრი;
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;
გიორგი სურმანიძე - საბჭოს წევრი;
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;

სხდომის დაწყებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის №17 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს №01 სხდომის მოწვევის შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე რომან დავითაძემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. **მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის სასწავლო ტრენინგ-მოდულის დანერგვა.**

საბჭომ განიხილა მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის (მერიის თანამშრომლები) და მერიის თანამშრომლებისათვის (სურვილის მიხედვით) სასწავლო ტრენინგ-მოდულის დანერგვის საკითხი. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ, რომელმაც წარმოადგინა წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისათვის სასწავლო ტრენინგ-მოდულის დანერგვისა და ერთიანი პლატფორმის შესაქმნელად საბჭოს წევრების გადამზადებისათვის ტრენერის მოწვევის შესახებ. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ფინანსურ ნაწილზე ისაუბრა საბჭოს წევრმა გიორგი სურმანიძემ. თინა თებიძემ და ოთარ ხარაძემ გამოთქვეს მოსაზრებები ტრენერის მოწვევის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრება და სტატისტიკის შექმნა. აგრეთვე დაიგეგმა გენდერული კვირეულის (1-10 მარტი) ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა:

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**საბჭომ გადაწყვიტა:**

გაეგზავნოს წერილი ქედის მუნიციპალიტეტის მერს გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის 1.3 პუნქტის შესაბამისად შესამუშავებელი გენდერული სტატისტიკის, მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმების და მეთოდების დასანერგად გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა (ქედის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები) და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების გადამზადებასთან დაკავშირებით, ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

| | | |
|---|---|---|
| საბჭოს თავმჯდომარე | | რომან დავითაძე |
| საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე | თ. შარაშიძე | თეა შარაშიძე |
| საბჭოს წევრი | მ. მახარაძე | მაგდა მახარაძე |
| საბჭოს წევრი | ზ. დავითაძე | ზაზა დავითაძე |
| საბჭოს წევრი | | ინდირა გორგაძე |
| საბჭოს წევრი | თ. თებიძე | თინა თებიძე |
| საბჭოს წევრი | მ. ფალავანდიშვილი | მადონა ფალავანდიშვილი |
| საბჭოს წევრი | | მზია ბოლქვაძე |
| საბჭოს წევრი | მ. გვარიშვილი | მამია გვარიშვილი |
| საბჭოს წევრი | | ოთარ ხარაძე |
| საბჭოს წევრი | | გიორგი სურმანიძე |